# სამშობლო

წ. I

სამშაბათი 16 ივნისი 1915 წ.

ფასი: წლიურათ 8 მ., ნახევარი წლით 5 მ., თვიურათ 4 აბ. ცალკე ნომერი ერთი შაური. დამატებით 7 კაპ. წლიური ხელის მომწერლებს გაზეთის ფასი შეუძლიათ ნაწილნაწილათ გადაიხადონ. ხელის მოწერის დროს 3 მ., დანარჩენი კი ...
განცხადების ფასი: ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე პეტიტით ღირს 15 კ., უკანასკნელზე 10 კ. სხვა ადგილებიდან კავკასიის გარეშე მიღებულ განცხადებათა ფასი: სტრიქონი პეტიტი ტექსტის წინ 20 კაპ., უკან 15 კ. სამგლოვიარო განცხადების დაბეჭდვა თითოჯერ ნაშუადღევის 2 საათ. ღირს 3 მ. 2 საათს შემდეგ 4 მან.

№ 105 ყოველდღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი № 105


„სამშობლო დედის ძუძუი, არ გაიცვლების სხვაზედა,
ორივ ტკბილია ძმობილო, მირჩევნის ორსავ თვალზედა,
როგორც უფალი, სამშობლოც ერთია ქვეყანაზედა“


ტელეფონი № 76.

ამიერიდან ქ. ქუთაისში გამოდის ახალი საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი

„ს ა მ შ ო ბ ლ ო“

ყოველკვირეული სურათებიანი დამატებით

ტელეფონი № 76.

გაზეთი ღირს: ერთი წლით 8 მანეთი, ნახევარ წლით 5 მან. ერთი თვით—ოთხი აბაზი. ცალკე ნუმერი ერთი შაური, დამატებიანი 7 კ. მისამართი: ქუთაისი, რედაქცია „სამშობლო“.
ვსთხოვთ ომში დაჭრილთა და მოკლულთა ნათესავ-მეგობრებს მოგვაწოდონ მათი სურათები.
რედაქტორი ი. თ. ცინცაძე.



ქვრივი, კნ. მინიკა მიხეილის ასული და შვილები გიორგი და ქელეჯან-ბეგ მიქელაძეები, აუწყებენ ნათესავთ, ნაცნობთ და მეგობართ, რომ ხუთშაბათს, 18 ივნისს, დანიშნულია ორმოცის დღის წირვა და პანაშვიდი პოლკოვნიკის

თავ. ფარსადან გიორგის ძე მიქელაძის

სულის მოსახსენებლად, სოფ. კულაშში, ჯვარცმის ეკლესიაზე.
წირვა დაიწყება დილის 9 საათზე. 1—1—467



## ბათომის ქალაქის თავი

ბათომიდან გასულ ამომრჩევლებთა საყურადღებოთ აცხადებს, რომ მოქალაქეთა ამომრჩევლებს, რომელნიც შეტანილი არიან საბოლოოთ შედგენილ სიაში და გასული არიან ბათომიდან, უფლება ეძლევათ დაუბრკოლებლივ დაბრუნდენ ბათომში საარჩევნო კრებაზე დასასწრებლათ 21 ამა ივნისს, ხოლო ქალაქში შესასვლელათ ნებართვა უნდა გამოეთხოვოს მიხეილის ციხის კომენდანტს პირდაპირ, ან ბათომის ქალაქის თვითმართველობის საშუალებით.
3—1



მუშაობს ხრესილის მადნეული წყლის მძ. ჟორჟოლაძეების სამკურნალო

## ა ბ ა ნ ო.

აბანო მდებარეობს მაღლობ ბუნებით შემკულ მთის ჰაერზე და, როგორც ნამდვილ გამოირკვა, კურნავს მრავალ სხვადასხვაგვარ ავათმყოფობას; ქარებს (რევმატიზმს) სხვადასხვაგვარ მუწუკს, საყმაწვილოებს, ნერვების სისუსტეს, ჩაყოლილ ციებას (მალარიას), კუჭის ტკივილს, ვენერიულ ავათმყოფობას, ეგზემას, სისივნეს და სხვა. წყალი მიიღება ცივი და თბილიც. ხრესილში იმყოფება მუდმივი ექიმი, სადაც მსურველს შეუძლია მიმართოს დარიგებისათვის, არის სუფთა საკუთარი ვანები, სუფთა ბინა, და სასმელ საჭმელი. ფასები ყოველივეზე ძლიერ ზომიერია. აბანო მდებარეობს სადგურ „სერნია ვოდში“ ხრესილში სადგურია მატარებლის გასაჩერებლათ. სადგურიდან 150 საჟენია აბანომდი. ქუთაისის სადგურზე მოითხოვეთ ბილეთები სადგურ ხრესილის „სტანცია სერნია ვოდის“. ქუთაისიდგან მატარებელი გადის დილის შვიდის ნახევარზე, დაბრუნდება საღამოზით. თ.



ქუთაისის ქალაქის გამგეობა საყოველთაოდ აცხადებს, რომ ქალაქის საავათმყოფოში, საღორიის აგარაკში, გაიხსნა **სამშობიარო განყოფილება**, სადაც ყოველ დროს, დღითა და ღამით შეიძლება მიღებულ იქნენ მშობიარენი. 14-13—234.



**ექიმი ი. ჩარექოვი** ქალაქის საავათმყოფოს ორდინატორი. განაახლა კანის, ვენერიულ და სიფილისიანი ავათმყოფების მიღება ახალ ბინაზე, დილით, 12—2 საათ. საღამ. 6—8 საათ. მისამართი: ლევაშოვის ქუჩა, ალბეგოვის სახლში. (თ.)

**ექიმი რელიგიონი** დაბრუნდა და განაახლა ავათმყოფების (ქირურგიულ და ქალურ ავათმყოფთა) მიღება თავის ძველ ბინაზე. ავათმყოფების მიღება—დილის 12 საათიდან 2 საათამდი.

**ექიმი ი. ტ. მულინი** გადმოვიდა ქუთაისში თფილისის ქუჩაზე ჩიქვაიძის სახლებში. ღებულობს ყელისა, ცხვირისა და ყურების ავათმყოფებს. დღით 2—3, საღ. 7—8. თ.

კბილის ექიმები
**მენაღარიშვილი და ტრუფანოვა.**
ბათომიდან გადმოვიდნენ ქალ. ქუთაისში. თფილისის ქუჩა, სახლი ბახტაძისა, ფირალოვის თუთუნის ფაბრიკის გვერდში. ავათმყოფებს ღებულობენ დილის 8—2 და საღამოს 5—6. არჩენენ ავათმყოფობას კბილებისა და ღრძილებისას. აკეთებენ ხელოვნურ კბილებს: კაუჩუკზე, ოქროზე და ალუმინზე. ღრძილების ავათმყოფობას არჩენენ რამდენიმე სეანსზე ახალი საშუალებით. თ.

გაბრიელ იოსების ძე
**ექიმი გოკიელის**
ელექტრონისა და სინათლის
**კაბინეტი.** შინაგანი ნევრებისა და ვენერიულ ავათმყოფების მიღება დილის 9—12 საათ. საღ. 9—8 საათ. ალექსანდრეს ქუჩა, საკუთარი სახლი.



ელექტრო „რადიუმი“ თეატრი
ორშაბათიდან, 15 ივნისიდან ახალი საუცხოვო პროგრამა:
**გომონის ქრონიკა.**
თანამედროვე ცხოვრებიდან სენსაცია მესამე და უკანასკნელი სერია
## საშა სემინარისტი
მესამე სერია „რუს ქურდებთა ბრბო“ 4 მოქმედებათ.
**მოსკოველ ყაჩაღთა ატამანის მოქმედებანი.**
## მაქსიმე თეატრში
ძლიერი კომიკური სურათი. დასაწყისი საღამოს 7 საათზე.



ქუთაისის ქალთა საზოგადოების წლიური კრების გაგრძელება: გამგეობის არჩევნები, მოხდება სამშაბათს 16 ივნისს ჭიათურის შავი-ქვის მრეწველთა საბჭოს დარბაზში (თეატრის პირდაპირ) საღამოს 8 საათზე.



## ა ბ ა ნ ო.

ს. ზეკარში, ბაღდათიდან 22 ვერსის მანძილზე 16 ივნისიდან იწყებს წარმოებას გოგირდის თბილი წყლიანი აბანო, მშვენივრად მოწყობილი ვანებითა და ოთახებით. აბანო მდებარეობს დიდებულათ შემკობილს ბუნებით ადგილზე, მშვენიერის ტყის პირში დიდ გზაზე. 10 ივნისიდან ბაღდათიდან ივლის 3 ცხენიანი, რიზინის თვლებიანი ეტლი, ნაშუადღევის ორი საათიდან ყოველ დღეს. აბანოს ახლავს ახლო სოფელი და დუქანიც, სადაც იშოვება ყოველივე სანოვაგე. წყალი სამაგალითოდ მოქმედებს ავათმყოფებზე. უმეტესად ურმით მოყვანილი ავათმყოფი, რამოდენიმე ბანაობის შემდეგ, ბრუნდება უკან ჯანსაღი, ფეხით. აბანო კურნავს ნერვების სისუსტეს, რევმატიზმს, ვენერიულ ავათმყოფობას, ჭეჭების ტკივილს, ტანის ქავილს და სხვას.
აბანოს მოიჯარადრე ად. დვალაძე.



**დოქტორი** მედიცინისა, პრივატ-დოცენტი **ვარლამ პავლეს ძე მოსეშვილი** 8 მაისიდგან მიიღებს ავათმყოფებს დილის 8 საათიდგან ნაშუადღევის 2 საათამდის და ნაშუადღევის 5 საათიდგან საღამოს 8 საათამდის. გოშპიტლის ქუჩა, მოსეშვილის სახლი, ხაზინის პირდაპირ № 6. თ.

**ბებია მ. მ. კოხრეიძე** უვლის ყვავილს, უკეთებს ნემსებს, ეხმარება მშობიარეთ და აძლევს ავათმყოფთ რჩევა-დარიგებას ყოველ დროს.
ალექსანდროვის ქუჩა, სახლი თევდორაძისა, ფილიპოვის მაღაზიის პირდაპირ.


# ო მ ი

(პეტ. დეპ. სააგენტოსაგან).

**პეტროგრადი.** ოფიციალური. 12 ივნისი. უმაღლესი მთავარ სარდლის შტაბიდან. 11 ივნისს, მთელი ღამის განმავლობაში შავლის მიდამოებში არტილერიის სროლა იყო. 12 ივნისს, მთელი დღე ლიბკოვოს ფრონტსა და ნემანის მარჯვენა ნაპირზე ჩვენი ჯარის მოწინავე ნაწილს მტერთან შეტაკება ჰქონდა.

ნემანის დასავლეთით კოვნოს ვერჟბოლოვს რკინის გზისა და ამალვას ტბის შუა მტრის იერიში მოვიგერიეთ.

ნარევის ფრონტზე სასტიკი სროლა იყო. განსაკუთრებული სასტიკი ხასიათი მიიღო ბრძოლამ 11 ივნისს, მთელი ღამის განმავლობაში ობოლევას ველის და ორჟიცის მიდამოებში. იქ მტერმა იერიში მიიტანა ჩვენს ჯარზე, მაგრამ მალე უკუგდებულ იქმნა. ჩვენ ტყვეთ წამოვიყვანეთ 80 ჯ. კ. ორჟიცის ველიდან ჩვენ იძულებული ვიყავით უკან დაგვეხია და მიგვეტოვებინა ერთი ჩვენი სიმაგრე, რომელიც მტრის ცეცხლმა სრულიად გაანადგურა. ვისლის ფრონტზე პილიცის სამხრეთით მტერმა მცირე ძალებით სამჯერ მოინდომა იერიშის მოტანა, მაგრამ უკუვაგდეთ დიდის ზარალით. ტანევის ფრონტზე ქოლოვისა და ლვოვის გზით ცვლილება არ მომხდარა. 11 ივნისს, დნესტრიდან მტერი მდინარის იქით გადავაგდეთ. ჩვენ ტყვეთ წამოვიყვანეთ 15 ოფიც. და 700 ჯ. კ.

11 ივნისს, ღამით, გერმანელებმა და ავსტრიელებმა კვლავ მოინდომეს დნესტრზე თავისი ჯარის გადმოსხმა სამხრეთით მუკაჩევთან. ბრძოლა გრძელდება. მდ. დნესტრის დანარჩენ ფრონტზე ცვლილება არ მომხარა. ლვოვის დასავლეთით 12 ივნისს, პრაპორჩიკი მირკა მზვერავთა რაზმით შეეჯახა მტრის რაზმს და ხელჩართულ ბრძოლაში მრავალი ავსტრიელი გაწყვიტა და ტყვეთ წამოიყვანა 265 კაცი. მათ შორის სამი ოფიცერი, ხელთ იგდო ერთი ტყვიის მფრქვეველი. პრაპორჩიკ მირიკას გამარჯვებით წათამამებულმა მეზობელმა როტებმაც გამოგზავნეს თავისი მზვერავი რაზმები და ხელთ იგდეს 3 ტყვიის მფრქვეველი და 85 ჯ. კ. ტყვეთ წამოიყვანეს.

**პეტროგრადი.** ოფიციალური. 13 ივნისი. უმაღლეს მთავარ სარდლის შტაბიდან. შავლის მიდომოებში ცვლილება არ მომხდარა. ნარევის ფრონტზე 11 ივნისს ომულევის ველზე მტრისგან მოტანილი იერიში მათთვის დიდი მსხვერპლით მოვიგერიეთ. ჩვენი თხრილების წინ მტერმა მრავალი გვამი დასტოვა. ტყვეთ წამოვიყვანეთ 150 ჯ. კ.

ორჟოვის ველზე 12 ივნისს, ღამით, მტრის ძლიერი იერიში ჩვენ მოვიგერიეთ და დილისით ხელთ ვიგდეთ 5 ტყვიის მფრქვეველი. იმავე დღეს პრასნიშის მხრით მტერმა ძლიერი არტილერიით იერიში მიიტანა. ვისლის მარცხენა ნაპირზე ქ. ზავიხოსტასთან ჩრდილოეთ-დასავლეთით გაუფრთხილებლათ მოსული ჩვენს მავთულებთან მტრის ჯარის ერთი ბატალიონი ჩვენ სრულიად ამოვწყვიტეთ. ტანევის ფრონტზე რავა-რუსსკის მიდამოებში 12 ივნისს მტერი იერიშის მიტანას შეეცადა. ლვოვის მხრით ჩვენ კონტრ-იერიში მივიტანეთ და ჯავშნოსანი მატარებლის საშვალებით ჩვენ ტყვეთ წამოვიყვანეთ 2000 ჯ. კ. 30 ოფიცერი და ხელთ ვიგდეთ 13 ტყვიის მფრქვეველი.

12 ივნისს ქალაქ ბობრასთან სასტიკი ბრძოლა დაიწყო, დნესტრზე ხოდოროვიდან გალიჩამდე ჩვენ ვიგერიებთ მტრის მრავალ-რიცხოვან ძალის სასტიკს იერიშებს.

11 ივნისიდან ჩვენ ტყვეთ წამოვიყვანეთ 1000 მეტი ჯარისკაცი და 17 აფიცერი და ხელთ ვიგდეთ რამოდენიმე ტყვიის მფრქვეველი.

პრუტის ფრონტზე, 11 ივნისს, ჩვენ წინ წავიწიეთ. ვისლის მარცხენა ნაპირზე ჩვენ სროლა აუტეხეთ გერმანელების მატარებელს, სკერნევიცაში სადგურთან ახლო ცეცხლი გადავაგდეთ. გულკის მიდამოებში ჩვენი მზვერავები გერმანელების მავთულებს მიუახლოვდენ და რამოდენიმე ყუმბარები ჩააგდეს, რომლითაც ააფეთქეს მტრის ნაღმები. ამის გამო მტერი იძულებული იყო თავის თხრილებიდან გაქცეულიყო. ჩვენმა მზვერავებმა ხელთ იგდეს ასაფეთქებელი ტყვიები, რომელიც მტერმა დასტოვა. ჩვენი მზვერავების მეორე ჯგუფმა იერიში მიიტანა მტრის მინდვრის დარაჯებზე და მოკლა 5 გერმანელი და სამი ტყვეთ წამოიყვანა. პილიცის მარჯვენა ნაპირზე ჩვენი მზვერავების ერთი ჯგუფი ავსტრიელების სადარაჯოს თავს დაესხა და მთლიანათ დაატყვევა, რიცხვით 30 ჯარისკაცი და ერთი აფიცერი. ლვოვის დასავლეთით ჩვენ დავიჭირეთ მაღლობი 76 ს. ვისოკინთან გამოვყარეთ ავსტრიელი თავიანთ თხრილებიდან და რამოდენიმე ტყვეთ წამოვიყვანეთ.

**კავკასიის ჯარის შტაბიდან.**

13 ივნისი. ზღვის მიდამოებში მთელი დღის განმავლობაში სროლა გრძელდებოდა.

ოლთისისკენ მტერი მოგერებულ იქნა. ოსმალებმა ძლიერი იერიში მიიტანეს გეიდაგის სიმაღლეზე, სადაც ჩვენმა ჯარმა ხელჩართული ბრძოლით უკუაგდო. დანარჩენ ფრონტზე ცვლილება არ მომხდარა.

**პარიზი.** 12 ივნისი. ვოლჟა და არგონში ნაღმებით ბრძოლა გრძელდება.

მასის ნაპირზე გერმანელებმა საღამოს სასტიკი იერიში მიიტანეს. ჩამოაგდეს რამოდენიმე ყუმბარა, ჰაერის საწამლავ გაზებით და ალმისაკიდებელი ცეცხლით შეიჭრნენ ჩვენგან დაჭერილ მათ წინანდელ თხრილების მეორე ხაზში, მაგრამ ენერგიული კონტრ-იერიშით ჩვენ ისინი უკუვაგდეთ.

ლოტარინგიაში მტერი ორჯერ შეეცადა დაკარგული პოზიციების აღებას, მაგრამ უკუვაქციეთ. ვოგეზში ჩვენ ორჯერ შევაჩერეთ გერმანელების იერიში.

გერმანელების მფრინავებმა 5 ყუმბარა ჩამოაგდეს, რომელსაც არავითარი ზიანი არ მოუტანია.

**რომი.** 13 ივნისი. პალგრანდზე პალნიკოლოსთან იზონცის სივრცისკენ ჩვენი ჯარის მოქმედება მეტოდიურათ ვითარდება.

ავსტრიის 305 კალიბრის ბატარეია, რომელიც რამოდენიმე დღის განმავლობაში დიდი ზიანი მიაყენა ჩვენს ჯარს, დღეს ჩვენ აღმოვაჩინეთ და მარჯვე სროლა ავუტეხეთ, რის გამოც ბატარეიამ წითელი ჯვრის ბაირაღი აიფრიალა, უეჭველია იმ მიზნით, რომ ჩვენ შეცდომაში შევეყვანეთ და სროლა თავიდან აეცილებინა.

**პარიზი.** 13 ივნისი. ჩრდილოეთ არრასის ფრონტზე არავითარი შესამჩნევი არ მომხდარა. არგონის ტყეში ნაღმებით სროლა გრძელდება.

**პარიზი.** ლოტარინგიაში ჩვენ მოვიგერიეთ ახალი კონტრ-იერიში იმ პოზიციებზე მიტანილი, რომელიც ჩვენ დავიჭირეთ ლენტრეს მახლობლათ. ყველა დაჭერილი ადგილი შევინარჩუნეთ და რამოდენიმე ტყვე წამოვიყვანეთ.

ვოგეზებში ვაიდესანის მიდამოებში მტერმა რამოდენიმე საათის განმავლობაში 4000 ყუმბარა ჩამოაგდო ფრონტიდან 300 მეტრზე გამოწეულს ერთს ჩვენ სიმაგრეში და აიღო. ამავე დროს მან იერიში მიიტანა მახლობელ თხრილებზე, მაგრამ მაშინვე შეჩერებულ იქმნა და ჩვენი კონტრ-იერიშით უკანვე დავიბრუნეთ თითქმის ყველა დაკარგული ადგილი. ტყვეთ წამოვიყვანეთ 142 ჯარისკაცი, მათ შორის სამი აფიცერია. ფეხტის მიდამოებში ჩვენ წინ წავიწიეთ.

**პარიზი.** ბერრიაბაკის მიდამოებში ჩვენ ავაფეთქეთ ნაღმი, რომლითაც გერმანელების თხრილებს დიდი ზიანი მოვუტანეთ.

ლოტარინგიაში ჩვენ დავიჭირეთ ლენკრთან ორი სიმაგრე დი რამოდენიმე ჯარისკაცი ტყვეთ წამოვიყვანეთ, მათ შორის 3 აფიცერი.

გუშინ საექსპედიციო კორპუსმა გალიპოლის ნახევარ კუნძულზე, ოსმალეთის ფრონტზე იერიში მიიტანა.

ჩვენმა მარცხენა ფრთამ ერთი დაკვ

ჩვენმა მარცხენა ფრთამ ერთი დაკვრით აიღო მტრის თხრილების ორი ხაზი და, მიუხედავათ სასტიკი კონტრ-იერიშისა, შეინარჩუნა.

**რომი.** 14 ივნისი ტიროლტრენტინის საზღვარზე ცვლილება არ მომხდარა. მონტეკრენის მთის დასავლეთით ჩვენმა ჯარმა ცელენკეფის სიმაღლე დაიჭირა.

**პეტროგრადი.** 14 ივნისი. უმაღლესი მთავარ სარდლის შტაბიდან. გალიციაში ჩვენმა ჯარმა 13 ივნის ზობრკა-ჟურავოს ფრონტზე მტერს სასტიკი წინააღმდეგობა გაუწია და გნილო-ლიპასკენ დაიხია.

ზობრკის მიდამოში ერთი დღე და ღამის განმავლობაში ჩვენ დავატყვევეთ 1600 ჯ. კ. მათ შორის 46. აფიცერი და ხელთ ვიგდეთ 2 ტყვიის მრქვეველი.

**პეტროგრადი.** 14 ივნისი. ცარსკოე-სელოში გუშინ მისი უდიდებულესობის თავმჯდომარეობით მინისტრთა საბჭოს კრება შესდგა. კრებას დაესწრო უმაღლესი მთავარ სარდალი ნიკოლოზ ნიკოლოზის-ძე, შტაბის უფროსი გენერალი იანუშკევიჩი, მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე სტატს-სეკრეტარი გორემიკინი, სასახლის მინისტრი გენერალ-ადიუტანტი გრაფი ფრედერიკე, სახელმწიფო კონტროლიორი სტატ-სეკრეტარი ხარიტონოვი, გზათა მინისტრი სტატ-სეკრეტარი რუხლოვი.

მიწად-მოწყობის მთავარი მმართველი სტატ-სეკრეტარი კრივოშეინი, გარეშე საქმეთა მინისტრი გოფმეისტერი საზონოვი.

ფინანსთა მინისტრი ბარკი, ვაჭრობა-მრეწველობის მინისტრი თდ. შახოვსკოი შინაგან საქმეთა მინისტრი თდ. შჩერბატოვი, სამხედრო სამინისტროს მმართველი ინფანტერიის გენერალი პოლივანოვი...

## ჟურნალ-გაზეთებიდან.

კონსტანტინეპოლიდან მოსული ცნობებით, ოსმალელ ოფიცრების დახვრეტამ დიდი აღელვება გამოიწვია გერმანელ აფიცრებისადმი. მოსალოდნელია აღელვება ამბოხებათ გადაიქცეს. სირიის მეოთხე კორპუსის ნაწილები, რომლებიც არაბებისაგან შესდგებიან, ურჩობას ეწევიან და აცხადებენ, რომ გერმანელ აფიცრების ხელმძღვანელობით არ იბრძოლებენო. ამბოხების თავიდან ასაცილებლათ გერმანელებმა არაბების მოთხოვნილება დააკმაყოფილეს.

ხმებია, შუქრი ფაშამ თანხმობა განაცხადა გალიპოლის ჯარის მარჯვენა ფრთის უფროსებაზეო.

ოდესიდან ცნობაა, კონსტანტინეპოლში განახლდა ქრისტიანების შევიწროება. ბერძნების სკოლებს ჩამოხსნეს წარწერები. ბერძნების, ებრაელებისა და სომხების მაღაზიებზე არა ოსმალური წარწერები აკრძალეს. კონსტანტინოპოლის—მიდამოებიდან ქრისტიანები გადაასახლეს, მათ რიცხვში ებრაელებიც. გადისახლებულთა ქონებას მუსულმანები იტაცებენო.

„პტი ჟურნალ“-ი იუწყება, რომ ყველა სამხედრო გემი, რომელნიც დარდანელთან არიან, გაცხარებული მოძრაობაა. მოელიან საერთო იერიშს.

### იტალია და ოსმალეთი.

ოსმალეთისა და იტალიას შორის გამოურკვეველი დამოკიდებულება პორტას ძლიერ აწუხებს, რომელიც ჯერ ვერავითარ გადაწყვეტილებას ვერ დასდგომია. იტალიელებს ჯერ-ჯერობით კარგათ ექცევიან, მხოლოდ საიდუმლოთ თვალყურს ადევნებენ.

ხმებია, ოსმალეთი ცდილობს იტალიასთან მშვიდობიანობა დაიცვას, თუმცა იმასაც ფიქრობენ, რომ კონფლიქტი აუცილებლათ მოხდება, თუ უკეთუ იტალიის ფლოტმა ეგეის ზღვაზე ოპერაციაში მონაწილეობა მიიღო.

### ოსმალეთ ბულგარეთის მოლაპარაკება.

„ბერლინერ ტაგებლატ-ტუნგი“ იტყობინება, რომ ბულგარეთ-ოსმალეთის მოლაპარაკება სასურველათ დასრულდებაო. ოსმალეთი მზათაა დაუთმოს ბულგარეთს მარიცის მარჯვენა სანაპიროები და ნაწილი ამ პროვინციისა ადრიანოპოლის რაიონში და აგრეთვე ტერიტორია, რომელსაც ყოფს დედეაგაჩ-მუსტაფა-პაშას გზა.

### საბერძნეთი

საბერძნეთიდან დაბრუნებულმა ბერლინის პროფესორმა კრაუზემ შვეციის გაზეთების კორესპონდენტებთან საუბრის დროს განაცხადა, რომ ხმები, ვითომც საბერძნეთის მეფე მოწამლულია ყოვლად სიმართლეს მოკლებულიო. მეფე პლევრიტით არის ავათ. მას სამჯერ ზედიზედ უყვეს ოპერაცია. ამჟამათაც მეფე მძიმე ავათმყოფია, თუმცა ექიმებს იმედი აქვთ კარგი მოვლა-წამლობის შემდეგ მეფის მორჩენაო. კრაუზეს სიტყვით, საბერძნეთი ყველაზე უფრო საფრანგეთს თანაუგრძნობს, რადგანაც ოსმალეთთან ომის დროს 1897 წელში პირველათ საფრანგეთმა გამოუცხადა თანაგრძნობა საბერძნეთს. ინგლისსაც პატივსცემით ეპყრობიან. ვენიზელოსმა ხალხში დიდი სიყვარული და თანაგრძნობა დაიმსახურა, უფრო იმისთვის, რომ იგი თანაგრძნობით უყურებს საფრანგეთსა და ინგლისს მიუხედავათ ამისა საბერძნეთის ინტელიგენცია გერმანელების მომხრე არისო, ამბობს კრაუზე.

### რომის პაპასთან საუბარი.

პარიზი. გაზეთ „ლიბერტე“ მ. გამოაქვეყნა თავის კორესპონდენტის საუბარი რომის პაპასთან. კორესპონდენტმა აუწყა პაპას, რომ საფრანგეთი ძლიერ აღელვებულია წმინდა ტახტის სიჩუმის გამო, რომ არც ბელგიის ნეიტრალიტეტის დარღვევამ, არც მრავალი მღვდლების გაწყვეტამ, არც ლუვენისა და რეიმსის დანგრევამ და „ლუზიტანიის“ დაღუპვამ არ აალაპარაკა პაპა გერმანელთა სიმხეცის წინააღმდეგო.

პაპამ უპასუხა, რომ ვატიკანი მსაჯული არ არის და აღიარა, რომ ის მთელი თავისი ძალღონით ეწინააღმდეგებოდა იტალიის ნეიტრალიტეტის დარღვევას.

„ნოვ. ვრ.“

ნეიტრალური მიმომხილველი გერმანიიდან „ტაიმს“ სწერს, რომ დიდი შეცდომაა, ვითომ გერმანიას „შიმშილით“ დაამარცხებენ. ყოველი დღე გვიმტკიცებს, რომ გერმანიის რესურსები აღემატება თვით გერმანელების პირველი ხნის მოლოდინს. გერმანია უზრუნველყოფილია სანოვაგით. ძლიერი ორგანიზაციის წყალობით, რომ არავითარ ნაკლს დღესდღეობით არ იჩენს. წინააღმდეგ, ორგანიზაციის მექანიზმი თანდათან უმჯობესდება. ის, რაშიც ბუნება ნაკლს იჩენს, ქიმიური აღმოჩენით ივსება. აზოტიური ნივთიერება ჰაერიდან იკრიფება, ხელოვნური კაუჩუკის გამოგონება თანდათან უმჯობესდება. სურსათის აღმოსაჩენათ გაქელარებული პროფესორები თავიანთ ლაბორატორიაში მუშაობენ.

გერმანელები დიდს იმედს ამყარებენ გაზებზე. გააგის კონფერენციის კატეგორიული აკრძალვა საწამლავ გაზების ხმარების, გამო ძრიელ ცოტათ აწუხებს გერმანელების სინიდისს. გერმანელების ქიმიკოსებს გაზები უკეთეს იარაღათ მიაჩნიათ. მათი აზრით დღეს-დღეობით გაზებით მოქმედება ახალი ნაბიჯია და მის დიდს გაუმჯობესებას ცდილობენ მომავლისთვის.

გერმანელ ქიმიკოსების პრობლემას დღეს შეადგენს გაზთა გამანაწილებელის აღმოჩენა. რის შემდეგ ამ იარაღის ხმარება დიდათ ხელსაყრელი იქნება.

### გერმანიისა და შეერთებული შტატების დამოკიდებულება.

**კოპენჰაგენი.** ოფიალ. „ნორდ დოიშ. ალგემაინ ცეიტ.“ ატყობინებს, რომ ამერიკიდან გამოსული 7 გემი დატვირთული იყო მოკავშირეთა შესაიარაღებლათო.

აგრეთვე ინგლისის გემებს მიაქვთ იტალიისათვის ცხენები და სხვა სამხარი ტვირთი.

რაც უფრო ახლოვდება დრო ვილსონის ნოტის საპასუხოთ, მით უფრო შეუპოვარს კილოს იჩენს გერმანული გაზეთები. („ნოვ. ვრ.“).

— იმპერატორმა ფრანც იოსებმა კატეგორიული უარი განაცხადა რუმინიის რაიმე ტერიტორიის დათმობაზე.

**პარიზი.** 9 ივნისს რუსეთის პრესის წარმომადგენელი რუს. გენერალურ შტაბის აფიცრის თანხლებით გაემგზავრა არრასის მიდამოებისაკენ, სადაც 5 კვირის განმავლობაში სასტიკი ბრძოლა იყო გაჩაღებული.

## ს. დემოკრატიულ მუშათა პარტია

ეს პარტია,—წარმომადგენილია გერმანელ მუშათა კლასის ინტერესებისა. თავისი ორგანიზაციით და წევრთა რიცხვით ეს ერთად-ერთი ძლიერი პარტია არის გერმანიაში. მისი და მის მონათესავე პროფესიანალურ კავშირთა გავლენა გერმანიის პროლეტარიატზე მეტათ თვალსაჩინოა. ეს პარტია წარმოიშვა ერთი მხრით მარკსისა და ლიბკნეხტის და მეორეს მხრით ლასალის მეთაურობით. ამათგან წარმომდგარი ორი წინათ ცალცალკე მომქმედი სოციალისტური ჯგუფი ხანგრძლივი შინაურული ბრძოლის შემდეგ შეერთდენ კონგრესზე.

ერთი მხრით მრეწველობის თანდათანმა განვითარებამ გერმანიაში და მეორე მხრით მეოთხე წოდების ემანსიპაციამ ძრიელ ხელი შეუწყო ამ პარტიის განვითარება-გაძლიერებას. ბისმარკის დევნამ და მისგან გაყვანილმა 1870—1896 წ.წ. „კანონმა სოციალისტების წინააღმდეგ“ დიდათ ხელი შეუწყო ს. დ-ბის პოპულიარობას გერმანიის პროლეტარიატთა წრეში

1891 წ. ერფურტში იყო შემუშავებური და მიღებული პარტიის პროგრამა (ერფურტის პროგრამმა).

ს. დემოკრატია—არის კლასობრივი პარტია, რომელიც იცავს პროლეტართა ინტერესებს თუმცა არჩევნების დროს მას ხმას აძლევს ბევრი თანამგრძნობელიც. ერფურტის პროგრამმა იყოფა ორ ნაწილათ: თეორიულ და პრაქტიკულ ნაწილებათ. თეორიული ნაწილი წარმოადგენს სამეცნიერო სოციალიზმის საფუძველს მარქსისტული მიმართულებისას და ძირითად მოთხოვნილებათ აყენებს: გასაზოგადოებას საწარმოო იარაღისას, კაპიტალის ბატონობის გაუქმებას და პროლეტარიატის კლასობრივი ბრძოლით სოციალური წეს-წყობილობის დამყარებას. პროგრამის პრაქტიკული ნაწილი შეიცავს დემოკრატიულ მოთხოვნილებას: საყოველთაო ხმის მიცემას ყველა არჩევაზე. მოხელეების ხალხისაგან არჩევას, მუდმივი ჯარის სახალხო მილიციით შეცვლას, სავალდებულო და უფასო სკოლებს, სარწმუნოების კერძო საქმეთ აღიარებას, პროგრესიულ გადასახადს კონების შემოღებას ველზე, მემკვიდრეობითი ბაჟის გაუქმებას, 8 საათის სამუშაო დღეს, კოალიციის თავისუფლებას, იმპერიის მუშათა საუწყებოს დაარსებას, ქალებისა და ბავშვების შრომის მფარველობას, მუშების სახელმწიფო დაზღვევას და სხვა.

თუმცა ს. დ-ლი პარტია კერძო საკუთრების გაუქმებას და მონარქიის რესპუბლიკათ შეცვლას მოითხოვს, მაგრამ ეს მუხლები თავის პროგრამაში შეტანილი არა აქვს.

ეხლანდელ დროში ამ პარტიას ორი მიმდინარეობა აქვს: რევიზიონისტური და ორტოდოქსული. პირველი ესწრაფვის ენერგიული მოქმედებით მშვიდობიანი გზით ს. დემოკრატიული იდეიის განხორციელებას დღევანდელ საზოგადო წყობილების პოლიტიკაზე ზეგავლენით.

მეორენი კი უარსა ჰყოფენ სხვა კლასებთან შეერთებას და მოელიან სოციალისტური იდეიის გამარჯვებას ეკონომიური წინააღმდეგობის წარმოშობილ რევოლიუციიდან.

1890 წ. ამ პარტიამ არჩევნებზე მიიღო 1,427,298 ხმა და უკანასკნელ არჩევნებზე 4000000-ს აღემატებოდა. ეს პარტია დღითი-დღე ძლიერდება და მისი გავლენა სახელმწიფო ცხოვრებაზე თანდათან იზრდება.

1912 წ. არჩევნებზე ს.-დ-მა პარტიამ დიდი უმრავლესობით გაიმარჯვა დღეს პარლამენტში მას ჰყავს 110 კაცი ფრაქციაში.

მისი ცენტრალური ორგანო არის „Vorwärts“.

### ეროვნული და სათემო პარტიები.

გერმანიის ეროვნულ პარტიებში ყველაზე უფრო ძლიერი პოლონური პარტიაა. და ეს მით აიხსნება, რომ იმპერიაში მცხოვრებ ყველა ეროვნებაზე უფრო გერმანიზაციის წინააღმდეგ პოლონელები იბრძვიან. [illegible] პრუსიასა და ზემო სილეზიაში ეს პარტიის წინააღმდეგ მრავალ ზომას ხმარობს: ყიდულობს მიწებს ამ ადგილებში და ასახლებს გერმანელებს და სხვა.

პოლონელი ფრაქცია 18 დეპუტატისაგან შემდგარი არჩევნების დროს ცენტრთან ერთად მოქმედობს.

### დანიის პარტია.

ჩრდილოეთ სილეზიის ნაწილში მცხოვრებნი თავის თავს დანიელებს უწოდებენ და როგორც ასეთი აგზავნიან თავის წარმომადგენელს, 1 დეპუტატს რეიხსტეგში.

### ველფი.

პატარა ტომი ნახევრათ გერმანელებში გათქვეფილი აგზავნის თავის წარმომადგენელს პარლამენტში 1 ვოლფელს დეპუტატს.

### ელზას-ლოტარინგიის ცენტრი.

თუმც ელზას-ლოტარინგიის გერმანიზაცია საკმარისი ჩქარი ნაბიჯით მიდის მაინც მცხოვრებთა ნაწილი წინააღმდეგია საფრანგეთის მოწყვეტისა, დიდის ხნის ბრძოლის შემდეგ ვილჰელმ II-ის მომრიგებელმა პოლიტიკამ ცოტათი დააცხრო ეს სიმწვავე და იქაური დეპუტატები დღეს ცენტრთან ერთად ხმას აძლევენ პარლამენტში.

1910 წ. ელზას-ლოტარინგიამ მიიღო საკუთარი ლანდტაგი, როგორც მოკავშირე სახელმწიფომ.

ელზას ლოტარინგიის ფრაქცია შესდგება 10 დეპუტატისაგან.

### ფრაქციების მოძრაობა რეიხსტაგში.

| | 1188 | 1884 | 1887 | 1890 | 1893 | 1898 | 1903 | 1907 | 1906 | 1921 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| გერმანული კონსერვატორები. | 50 | 76 | 80 | 72 | 67 | 53 | 52 | 52 | 58 | 43 |
| თავისუფალი კონსერვატორები | 27 | 28 | 41 | 20 | 28 | 22 | 19 | 22 | 22 | 14 |
| ანტისემიტები | — | – | 1 | 5 | 16 | 14 | 11 | 14 | 20 | } 13 |
| სოფლის მესაკუთრეთა კავშირი | — | — | — | — | — | 5 | 3 | 4 | 7 | |
| ბავარიის გლეხთა კავშირი | — | — | — | — | 4 | 5 | 3 | 8 | 1 | 2 |
| ეროვნული ლიბერალები | 45 | 51 | 98 | 41 | 53 | 48 | 50 | 51 | 54 | 45 |
| პროგრესიული სახალხო პარტია | 114 | 71 | 32 | 74 | 48 | 50 | 36 | 36 | 49 | 42 |
| ცენტრი. | 98 | 99 | 98 | 106 | 96 | 102 | 100 | 100 | 104 | 90 |
| პოლონელები | 18 | 16 | 13 | 16 | 19 | 15 | 16 | 16 | 20 | 18 |
| ველფი. | 10 | 11 | 4 | 11 | 7 | 9 | 7 | 7 | 2 | 9 |
| ელზასელები | 15 | 15 | 15 | 10 | 8 | 10 | 10 | 10 | 8 | 5 |
| ს. დემოკრატები | 12 | 24 | 11 | 35 | 44 | 56 | 81 | 7 | 43 | 110 |

**იმერელი ქალი.**

## ქ. შ. წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების წევრთა კრება.

კვირას, 14 ივნისს, შავი ქვის საბჭოს სადგომში მოხდა ქუთაისის განყოფილების წევრთა საზოგადო კრება. მიუხედავათ იმისა, რომ კრება შვიდ ივნისს არ შესდგა და ეხლა მეორეჯერ იყო მოწვეული, მაინც მცირერიცხოვანი შეიქნა, რადგანაც 500 წევრიდან დაესწრო მხოლოდ 89 და შემთხვევით—თბილისიდან ჩამოსული „თემის“ რედაქტორი გრ. დიასამიძე. კრებას არ დასწრებიან გამგეობის წევრნი ქ. ქ. მ. ვარდოსანიძის ასული, ე. ტყეშელაშვილისა და გ. ტრ. ჯაფარიძე, სარევიზიო კომისიის წევრნი—ა. კრინიცკი და რ. დათეშიძე. დილის 11 საათ. კრება გახსნა გამგეობის თავმჯდომარის ამხანაგმა ი. ოცხელმა და წინადადება მისცა კრებას აერჩიათ კრების თავმჯდომარე და მდივანი; კრებამ ერთხმათ აირჩია თავმჯდომარეთ ქალაქის თავი ილ. ჩიქოვანი და მდივნად დმ. უზნაძე. ანგარიშების განხილვის დაწყებამდი კრების თავმჯდომარემ წარმოსთქვა მოკლე სიტყვა, რომლის შემდეგ კრებამ ფეხზე ადგომით პატივი სცა მგოსნის აკაკის, სათათბიროს წევრის ვ. გელოვანის და ბრძოლის ველზე დაღუპულ მეომართა ხსოვნას; შემდეგ კრება შეუდგა სხვა და სხვა საკითხების გარჩევას. განსახილველი საგნები იყო: 1) სამი უკანასკნელი წლის ანგარიშების განხილვა, 2) სარევიზიო კომისიის მოხსენება 3) გამგეობის მოხსენება სხვა და სხვა საგნებზე 4) 1915 წ. ხარჯთაღრიცხვის ანგარიშების განხილვა და დამტკიცება.

სამი უკანასკნელი წლის ანგარიშების განხილვა კრებაზე არ მომხდარა, რადგან სარევიზიო კომისიას სამი წლის განმავლობაში რევიზია არ მოუხდენია და არც მოხსენება წარმოუდგენია; ამ გარემოებამ კრებაზე მწვავე კამათი გამოიწვია; კრების წევრნი ეკითხებოდენ გამგეობას მიზეზს ასეთი დაუდევრობისას, სარევიზიო კომისიის წევრები კი არსად ჩანდენ; ამ დროს შემოვიდა ერთი წევრთაგანი რ. კანდელაკი, რომელსაც წინადადება მისცა თავმჯდომარემ, მოეხსენებია კრებისათვის, თუ რა მიზეზისა გამო სამი წლის განმავლობაში კომისიას რევიზია არ მოუხდენია. ბ. კანდელაკმა ბრალი დასდო დანარჩენ ორ თავის ამხანაგს, რომელთაც სხვა და სხვა საქმეებისა გამო ვერ უშოვიათ დრო, რათა მოეხდინათ რევიზია და შეედგინათ მოხსენება, მიუხედავათ იმისა, რომ ბ. კანდელაკს მრავალჯერ გამოუწვევია ისინი. ორატორებმა სხვა და სხვა აზრი გამოსთქვეს მათი ასეთი დაუდევრობის შესახებ. ილაპარაკეს ბ.ბ. მოსეშვილმა, ურატაძემ, წერეთელმა და პ. ყიფიანმა; ზოგი მოითხოვდა კრების გადადებას, სარევიზიო კომისიაში ახალი წევრების არჩევას, მათ მიერ ანგარიშების განხილვა-შემოწმებას და შემდეგ კრების მოწვევას, ამასთანავე სარევიზიო კომისიის ძველი წევრებისათვის საყვედურის გამოცხადებას, ზოგი კი—მათთვის მარტო მწუხარების გამოცხადებას, და 3 წლის ანგარიშების განხილვისგადადებას. თავმჯდომარის შეკითხვაზე ხმის უმეტესობით გადაწყდა: გამოეცხადოს სარევიზიო კომისიის ორ წევრს, რომლებიც კრებას არ დასწრებიან, საყვედური დაუდევრობისათვის, გადადებულ იქნას მარტო სამი წ. ანგარიშების განხილვა და სხვა საკითხები კი გაირჩეს, აირჩეს ახალი დროებითი კომისია, რომელსაც მიენდოს ორი კვირის განმავლობაში, ე. ი. 28 ივნისისათვის შეადგინოს თავისი მოხსენება და წარმოუდგინოს კრებას.

**ლადო ბზვანელი.**

(შემდეგი იქნება).

# ახალი ამბავი.

## ქუთაისი.

ქალაქის მოურავმა ი. მ. ჩიქოვანმა დიდი მთავარი კონსტანტინე კონსტანტინეს ძის ქვრივის ელისაბედისაგან მიიღო შემდეგი დეპეშა: „გულითად მადლობას გიძღვნით თქვენ და ქალაქის გამგეობის წევრებს ჩემიდიდი მწუხარების გაზიარებისათვის“.

✦ პარასკევს, 12 ივნისს, დამშეულ გლეხების მდგომარეობის გამოსარკვევათ შორ. მაზრაში გაემგზავრენ ქუთ. გუბერნატორი და საოლქო სასამართლოს უფროსი თავჯდომარე ბ-ნი ფედოროვი. დ. ქიათურასა და საჩხერეში მათ დიდძალი გლეხობა დახვდა. ბ. გუბერნატორმა, აღუთქვა, რომ მათ სიმინდი სესხათ მიეცემათ. ბ-ბ. გუბერნატორი და ფედოროვი ქუთაისს გუშინ დილას მატარებლებით უკან დაბრუნდენ.

✦ ამ დღეებში ქ. ქუთაისში დაარსდება კოოპერატიული ამხანაგობა, რომელიც მოაწყობს სიმინდის ვაჭრობას.

✦ ბათუმის სამხედრო კომენდანტს იქაური მცხოვრებლების თხოვნით დაუდგენია, რომ მომავალი სეკტემბრიდგან ბათუმში გადატანილი იქნას ყველა ის სასწავლებლები, რომლებიც გახიზნული არიან ქუთაისსა და სხვა ქალაქებში.

✦ კვირას, 14 ივნისს, თ. დ. ო. ნიჟარაძის დახმარებით თეთრ ხიდთან ლაღიძის აივანზე ჩვენ მოძმე აჭარლების სასარგებლოთ გაიმართა „ერთი ფინჯანი ჩაი“ დაწვრილებით შემდეგ.

✦ კვირას, 21 ივნისს, საფიჩხიაზე აკურთხებენ დავით კლდიაშვილის სახელობის უფ. წ. საც. სამკითხველოს.

✦ ქალ. საბჭოს მორიგი კრება მოხდება 22 ივნისს. ამის შემდეგ საბჭო დათხოვნილ იქნება ორი თვის ვადით.

✦ 13 ივნისს შავი-ქვის საბჭოს დარბაზში მოხდა ქალთა საზოგადოების კრება. კრებას ცოტა წევრი დაესწრო.

✦ ქ. ფოთის მცხოვრებლებმა შუამდგომლობა აღძრეს სათანადო მთავრობის წინაშე, რათა უკან დაბრუნებულ იქნას ყველა ის სასწავლებლები, რომლებიც ომიანობის გამო გადახიზნული იყვნენ.

✦ ქუთაისში და სხვა დაბებში აბრეშუმის პარკი უკვე შემოდის. პარკის ფასი ჯერ ძლიერ მცირეა.

✦ ამ ჟამათ ქუთაისში ცოტა სანოვაგე შემოდის, ფუთი სიმინდის ფქვილი 2 მანათად ფასობს. ოკრიბის მხარიდან დიდძალი ხილი შემოდის.

✦ როგორც დ. ზესტაფონიდან გვწერენ. 14 ივნისს. ს. კვალითის (შორაპნის მაზრა) მცხოვრები, ცნობილი ყაჩაღი ყარამან ხუსკივაძე ჭლექით დაავადმყოფებული მის მახლობელ სოფ. ერთ გლეხის ოჯახში წოლილა. ეს ადგილობრივ ბოქაულს გაუგია და ხუსკივაძე შეუპყრია და ყვირილაში ჩამოუყვანია. ყაჩაღი ხუსკივაძე ციხეში მოთავსებამდის გადაიცვალა.

✦ საოლქო სასამართლოს სესია საქმეების გასარჩევათ დ. ლაილაშს გაემგზავრა.

✦ ქუთაისის საოლქო სასამართლოს უფროსი თავმჯდომარე ბ-ნი ფედეროვი გაგრიდან ქუთაისში დაბრუნდა.

# მარტვილის უმაღლესი სასწავლებლის გარშემო.

გასული წლის ნოემბრის „განათლების“ ნომერში პირველათ იყო აღნიშნული, რომ მარტვილის უმაღლეს პირველ დაწყებით სასწავლებელში ქართულ ენას სრულიად ადგილი არ აქვსო. მხოლოდ ამის შემდეგ ასტყდა ამ საკითხის გამო განგაში და არ დარჩენილა არც ერთი ქართული ჟურნალ-გაზეთი, რომ ამ საკითხისთვის რამდენიმე წერილი არ ეძღვნა. სდუმდა მხოლოთ და ხმას არ იღებდა არც შკოლის უფროსი ბატ. ლაპარტყავა და არც პედაგოგიური საბჭო, რომელსაც რამდენჯერმე ქონდა დასმული მარტივათ კითხვა, თუ როგორ უყურებს ის ამ საკითხს და რა აზრისაა, ნუთუ ისიც მომხრეა ამისთანა „პედაგოგიური“ მოსაზრების, რომ ბავშების საკეთილდღეოთ საჭიროა დედაენას ადგილი არ ქონდეს შკოლაში. საქმის ასეთმა ვითარებამ, რამდენათაც ვიცი, დიდი მორალური ტანჯვა გამოაცდევინა მასწავლებელთ, რომელნიც სხვა და სხვა მიზეზის გამო იძულებული იყვნენ გაჩუმებულიყვნენ. ამით მე სრულებითაც არ მინდა მასწავლებელთ ვექილობა გავუწიო და მათი პასუხი ვიტვირთო. არა, მე მხოლოდ, როგორც საქმესთან ახლო მდგომს და ვითარების მცოდნეს, შემთხვევა მეძლევა გაკვრით აღვნიშნო ეს და მკითხველ საზოგადოებას ვაუწყო შემდეგი: როგორც ბატონ სახალხო დირექტორისაგან მიღებულ ცნობებიდან სჩანს, მარტვილის სასწავლებლის ინსპექტორს ბ-ნ ლაპარტყავას დირექტორისთვის შემდეგი უცნობებია:

„ჩემს შკოლაში თუმცა შეეხენ ენის საკითხს, მაგრამ არ გეგონოსთ, რომ ეს იყოს ხალხის მოთხოვნილება... არა, აქ მცხოვრებნი სულ მეგრელები არიან, რომელთაც ქართული ენა არ ესმისთ და არც დათანხმდებიან მის შემოღებას. უყურეთ განათლებულ ქართველ კაცს... მისი ამდენიხნის დუმილი რითი ყოფილა გამოწვეული... უყურეთ ქართველ ინტელიგენტს... საზოგადოების ამაღლებული ხმა ქართული ენის დასაცავათ ვინ იცის ალბათ გონია ვინმე გადახვეწილის და დროებით მოსულის ხმა, რომელსაც, მისი აზრით, ვინ იცის რა აიძულებს ასე მოიქცეს! ვინ იცის რითი არ ხელმძღვანელობს...

და ისე კი ქართული ენა ჩვენს შკოლებში ჩვენი ბავშებისთვის ჩინურ ენას უნდა უდრიდეს... აი ესეც ნაყოფი დიდი ხნის დუმილის და დაფიქრებისა. ბ-ნო ინსპექტორო, ნუ თუ ეს არის საბუთიანათ თავის გამართლება?

ნუთუ ეს არის ხალხის სამსახური და თუ ეს თქვენ ასე მიგაჩნიათ, რატომ ერთხელ მაინც არ მიაქციეთ ყურადღება სამეგრელოში დაბალ პირველდაწყებით სასწავლებლებს, სადაც ბავშები ქართულ-დედაენაზე იზრდებიან?

რატომ ერთხელ მაინც არ გაილაშქრეთ ასეთი მოვლენის წინააღმდეგ და არ აამაღლეთ ხმა სახალხოთ შკოლებში მეგრული ან-ბანის შემოღების და მეგრულათ სწავლების სასარგებლოთ? ბ-ნო ქართველო „ინტელიგენტო“, რა საჭიროა სულ ნიღაბის ტარება? ვინ იცის რამდენჯერ მსმენია სხვებისაგან, რომ თქვენ კერძო ლაპარაკში ბევრჯერ გამოგეთქვამთ აზრი ქართული ენის გულშემატკივრობისა, რომ თქვენ გეთქვათ ხშირათ თითქო ქართული ენის შემოღების საწინააღმდეგო მიტომ გაქვს, რომ არ შეგიძლია უცქირო გულგრილათ მის აბუჩათ აგდებას, როგორც არა სავალდებულო საგნისას, რომელსაც მიჩენილი ექნება უთუოთ მეხუთე—მეექვსე გაკვეთილი უყურებ მკითხველო, ასეთ ორპირობას? უყურებ ქართველის თბილი ადგილის მაძიებლის გულწრფელობას? აი ერთი მაგალითი კიდევ იმისა, რომ ჩვენს თავს ჩვენ თვითონვე ვუთხრით სამარეს; ღმერთო ჩემო, როდემდის უნდა გაგრძელდეს ეს? ნუთუ არ არის დრო კიდევ ერთხელ და სამუდამოთ აილაგმოს ასეთი ვაჟბატონების თავვასულობა?.. პირიქით ჩვენ ვიცით აზრი მთავრობის წარმომადგენლებისა ამ საკითხზე, ჩვენ ვიცით და თითქმის ყოველ ნაბიჯზე ვრწმუნდებით მასში, თუ როგორ თავაზიანათ ეპყრობა ბატ. სახალხო დირექტორი ჩვენს ენას შკოლებში. ჩვენ ვიცით შემთხვევა, რომ საკმარისი ყოფილა დირექტორისთვის 2-3 სიტყვა თხოვნაში, რომ ქართული ენა დაუყოვნებლივ შემოღებული იყოს სასწავლებელში. თქვენ კი ბატ. ინსპექტორო, ტყვილა გეშინიათ მისი, რომ ქართული ენა, როგორც არა სავალდებულო საგანი, ენა, რომელსაც მიჩენილი ექნება უკანასკნელი საათები, ვერაფერ ნაყოფს გამოიღებს. გარწმუნებთ, რომ კარგი მასწავლებლის ხელში უფრო ნაყოფიერიც გამოდგება, ვიდრე რომელიმე სავალდებულო საგანი, რადგანაც სიყვარულს და პატივისცემას ყოველთვის მეტი შეუძლია, ვიდრე ძალ-დატანებას; ამის მაგალითებს ბევრს ვხედავთ, თუ დაუკვირდებით. ასე რომ მეხუთე მეექვსე საათები ტყვილა ნუ გაშინებთ, რადგანაც, ვისაც **კეთილი სურვილი** ამოძრავებს, ის ყოველთვის მოახერხებს ისე გაანაწილოს საგნები, რომ არც ერთი მათგანი არ დაიჩაგროს და, როგორც თქვენ გგონიათ, აბუჩათ აგდებული არ იქნეს.

. . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . თქვენ კი, მარტვილელნო, დაუყონებლივ უნდა მოახდინოთ ყრილობა, გამოიტანოთ დადგენილება და აღძრათ შუამდგომლობა ბ. დირექტორთან, ან სასწავლებლის პედაგოგიური საბჭოს საშვალებით და ან კი, რადგანაც საბჭოს წევრები წასულ-წამოსულნი არიან და საქმე საჭიროებს დაჩქარებას, აირჩიოთ ორი ან სამი წარმომადგენელი დირექტორთან ამ საქმის გამო მოსალაპარაკებლათ, თორემ ძლიერ ძნელია ამისთანა დანაშაულისთვის მოზარდი თაობის და ისტორიის წინაშე პასუხის გება.

იმედია ბ. ევ. გეგეჭკორი არ დაიშურებს დახმარებას და ხალხს ხელმძღვანელობას გაუწევს, როგორც ადგილობრივი მცხოვრები და პირობებისა და ვითარების კარგი მცოდნე. **დუდუ.**

# ქართველ სამღვდელოების საყურადღებოთ.

აღარავისთვის დამალული არ არის რომ ამ უკანასკნელს 7-8წლის მოუსავლობამ დრო გამოშვებით, ხან აღმოსავლეთ და ხან დასავლეთ საქართველოში ხალხის ეკონომიური კეთილდღეობა დასცა, ხოლო მსოფლიო ისტორიაში დღევანდელმა უმაგალითო ომმა ქართველი ხალხის კეთილდღეობა სრულებით გაანადგურა, ესეც ეჭვს გარეშეა. თუმცა ჩვენი ძვირფასი სამშობლოს თავზედ მრავალ გზა დატრიალებულა უბედურების ქარიშხალი, მაგრამ ამისთანა გამოურკვეველ და უნუგეშო მდგომარეობაში, როგორშიაც ამ ჟამად არის ჩავარდნილი, ჩემის ფიქრით, მის ისტორიას არ ახსოვს: საუკეთესო მარჯვენის მქონი, ოჯახის ბურჯნი და მომავლის იმედნი მისი შვილები ომში არიან გაწვეულნი და ქართველურ მამულიშვილურათ თავს სდებენ სამშობლოს დასაცავათ ქართველი ოჯახები კი მუშა ხელით დაცარიელდა, რის გამოც ოჯახის უსაჭიროესი მოთხოვნილებები დაუკმაყოფილებელი რჩება. ამას ზედ ერთვის კარზე მომდგარი შიმშილით გამოწვეული ხალხის უბედურება. ყოველივე ეს დღეს, მაგრამ, ვინ იცის, ჩვენ ხალხს რას უქადის ხვალინდელი დღე?!..

ვინაა მისი თავდები, რომ საქართველოს სხვა კუთხეებსაც არ ეწვევა იგივე ბედი მრისხანე ომის ქარიშხლისა გამო, რაიცა ეწიათ ჩვენს ღვიძლ ძმებს აჭარლებს?.. აი, სწორეთ ყოველივე ეს გარემოება ღრმად უნდა გაითვალისწინოს ქართველმა ხალხმა და მსწრაფლ შეუდგეს საჭირო თადარიგს. ქართველთა ხალხის მოწინავე პირებმა უკვე გამოუნახეს წამალი ამ გარემოებას ქართველთა საქველმოქმედო საზოგადოების დაარსებით, რომლის გარეშემო უნდა შემოკრბეს ქართველი ხალხი, განურჩევლათ წოდებისა, სარწმუნოებისა და სქესისა, ვინაიდან ამ საზოგადოების მიზანია ქართველი ხალხის დახმარება გაჭირვების ჟამს.

ბატ. მ. ფარცხნალიელის საყვედური, რომ სამღვდელოება ამ ზემოთ ჩამოთვლილ უბედურებათა შემსუბუქებაზე არ იღებს ხმასო, ნამდვილ ჭეშმარიტებათ ჩასათვლელია, მაგრამ ამ სინამდვილეს რამდენიმეთ აქარწყლებს ის გარემოება, რომ ქართველ ხალხს დღემდის არ მოეპოებოდა იმისთანა რაიმე განსაზღვრული დაწესებულება, რომლის წინაშეც მისი ყოველი წოდება პასუხის-მგებლათ გამოსულიყო.

ახლა კი, ქართველთა საქველმოქმედო საზოგადოების დაარსება, რომლის მთავარი გამგეობაც საქართველოს დედაქალაქ თბილისშია და მისი განყოფილება კი ქ. ქუთაისში, ქართველი ხალხის ყველა წოდებას ვალდებულათ ჰხდის ყოველის მხრივ ხელი შეუწყოს მის ნივთიერათ გამაგრებას ქართველთა საკეთილდღეოთ. აი სწორედ ის მომენტიც, როცა სამღვდელოებას შემთხვევა ეძლევა მოწინავე ბაირახტრობა გასწიოს და ნამდვილი მამობრივი მზრუნველობა დაუმტკიცოს თავის ერს. საქართველოში მსახურ მღვდელ-მთავრებმა, რომლებიც დიდათ საიმედონი ბრძანდებიან ჩვენთვის, სწრაფლ უნდა მოახდინონ ან საეპარქიო კრებები და, თუ ეს არ მოხერხდა, საბლაღოჩინო კრებები მაინც, რომელმაც უნდა განიხილოს საქველმოქმედო საზოგადოების წესდება და ვალდებული ჰყოს ყველა საეკლესიო მსახურნი წევრებათ ჩაეწერონ და საბლაღოჩინო ან საოლქო საქველმოქმედო საზოგადოების განყოფილება დაარსონ. ერთი სიტყვით ჩვენი სამღვდელოება ყოველივე ღონეს უნდა ხმარობდეს, რომ ამ საზოგადოებას თავიანთ მრევლებში მრავლათ მოუპოვონ წევრები, აუხსნან საზოგადოების დიდი მნიშვნელობა და ამნაირათ ხელი შეუწყონ ამ სამადლო საქმეს. „რომელმან არა აღიღოს ჯვარი და არ შემომიდგესძე, იგი არა არს ჩემდა ღირსიო“, ბრძანებს იესო მაცხოვარი. აი, მაცხოვრის დიადი მცნება, რომლის აღსრულების მომენტიც სწორეთ რომ ახლა დაუდგა ჩვენს სულიერ მამებს.

# გაგრიდან სენაკამდე.

## (გზა და გზა)

ადვილი არ იყო დილიჟნით—სენაკამდე ორას ორმოცდა—ათი ვერსის გამოვლა, მაგრამ მეტი გზა არ გვქონდა...

წამოსვლისათანავე—შხაპუნა წვიმამ მგზავრები—საგონებელში ჩაგვაგდო. ყველანი საშინელ ზიზღსა გრძნობდენ ოსმალეთისადმი, რომელიც მიზეზი გახდა ზღვაოსნობის შეჩერებისა! წვიმა გადაიღო; ბუ-რუსი გაიფანტა და გზა და გზა ჩვენი მხედველობა მიიპყრეს, ნაზათ მოშრიალე შავი-ზღვის პირათ, შენებულ რკინის გზის მუშაობის ფერხულში ჩაბმულმა მომუშავეებმა. თითქმის, ყოველი ეროვნების მუშა ერთმანეთში ირეოდა. სამშობლოში დაქსაქსულ და შეწუხებულ ქართველობასაც, თითქოს აქ—ენახათ შესაერთებელ—შესასვენებელი ადგილი და როგორც თვით მრავალ—ფეროვანი ბუნება კავკასიისა, ისე ერთმანეთში ეხლართებოდა მათი მრავალგვარი პროვინციალური—კილოიანი ხმები. გავუარეთ გვერდი აგრე-წოდებულ-„კოლხიდის“ მამულებს; გავედით მდ. ბზიბზე დ. შემოვდგით ფეხი ქუთაისის გუბერნიაში. რადგანაც თანამგზავრი ქართველები, ჩემსავით აფხაზეთის შესანიშნავ ადგილების გაცნობით დაინტერესებულნი იყვნენ, ამიტომ გადავწყვიტეთ გზა და გზა ხშირათ შეგვეჩერებინა დილიჟანი თვალსაჩინო სიძველენი დაგვეთვალიერებინა. პირველი ჩვენი მიზანი იყო გვენახა ზღვის პირათ ამართული პიწუნდის ტაძარი, სადაც XIV საუკუნეში იჯდა ცალკე ეპისკოპოზი და იყო სასულიერო ცენტრი მთელ დასავლეთ—საქართველოისა. პიწუნდის ტაძარი, როგორც ისტორია მოწმობს, აშენებულია ბიზანტიურ—სტილზე იუსტინიანე დიდისაგან 551 წელს. სიძველეთა შორის ტაძარს გარდა დაზიანებულ მ-რმალილოს ტრაპეზის,—კედლებზე რაღაც ჩვენთვის გაუგებარი წარწერები და მხატვრობა შერჩენია. „1830 წელს ნახული ტყავზე დაწერილი XV საუკუნის ქართული სახარება პეტროგრადის ბიბლოტეკაში ინახებაო!“, ადგილობრივი აფხაზური—თქმულებაა, თითქოს იქ განისვენებდეს ანდრია პირველწოდებული. პიწუნდის ტაძარს ათონელი ბერები განაგებენ. პიწუნდიდან დაწყებული, რამოდენიმე მანძილზე, აფხაზეთი წარმოადგენს ბუნებით და მცენარეულობით მდიდარ ადგილებს, რომელსაც იხსენიებს ვახ. ბატონიშვილი საქართველოს გეოგრაფიაში და დღესაც „აფხაზეთის შვეიცარიათ“ არის მონათლული. ვინახულეთ სოფ. ლიხნი, რომელიც უკანასკნელ ხანამდის ყოფილა ცენტრი—აფხაზეთისა და „რეზიდენცია“ მფლობელ შერვაშიძეებისა. ლიხნაში შენახულა ნანგრევები ბიზანტიურ ტაძრისა—მე-XI საუკუნეში და უჩვენებს ქრისტიანობის ძლიერებას ისლამის დამყარებამდის. თქმულებაა თითქოს აქედან პიწუნდას მიმავალი ქრისტიანობის მქადაგებელი იოანე ოქროპირი გზაში გარდაცვლილიყოს...

დ. გუდაუთაში ჩამოვედით თუ არა, მაშინვე ბიბლოტეკა-სამკითხველოს მივაშურეთ, მაგრამ დახეთ უბედურებას ასე გვითხრეს: „დიდი ხანია წიაღსა აბრაამისასა—ჩააბარეს სული მათიო!“

ახლ ათონში დავათვალიერეთ ძველი სიმონ კანანელის მფლობელობის დროს ბიზანტიურ სტილზე აშენებული ეკლესია. ოსმალეთის ბატონობის შემდეგ XVII საუკუნეში აქ 18 76 წელს აუშენებიათ ეხლანდელი მონასტერი. ძველ ნაშთებში მნახველთა ყურადღებას იპყრობს: გამოხატულება წმ. გრიგორისა და საფლავი აფხაზ-იმერეთის მეფის დიმიტრისა, ბაგრატ-დიდების გვარეულობიდან (11 საუკ.) მომხიბლელ ათონის ბუნებაში ბერებსაც თვისი მუყაითური შრომით ხელოვნების ნასახიც შეუტანიათ, რასაც მნახველი განცვიფრებაში მოჰყავს. ახალ-მონასტრიდან ივერიის გორაზე ასასვლელათ და ივერიის ეკლესიის დასათვალიერებლათ-აყვანილია ელექტრონის ფუნიკულიორი.

რაც თან და თან აფხაზეთში შემოვდიოდით, იმდენათ უფრო მწარე სურათი გვეშლებოდა თვალ-წინ. მიუხედავათ კარგ მოსავლიან ადგილებისა, მომუშავეებათ მარტო დედაკაცებს ვხედავდით, მამაკაცები კი ცხენებით აქეთ-იქით მიიშურებოდენ! კითხვაზე ჩვენმა ქუჩერმა მიპასუხა: „აფხაზების საქმე ცხენი და იარაღია, მაგენი ხომ მომუშავეებათ არ გაუჩენია ღმერთსაო“, სოხუმს დავუახლოვდით; მთელი მიდამო თამბაქოს პლანტაციებით იყო მოცული. საუბედუროთ, რამდენი არ ვეცადე ერთი ქართველიც ვერ შევნიშნე: თურმე ... ება მთლათ სომხებსა ... ყოფილა! ღამე სოხუმში გავათიეთ. ... ყობა თვისი ლამაზი ბუნებით ტყუილათ არ მიუქცევია სოხუმხ პროფესორ ოსტროუმოვის ყურადღება. სასიამოვნოთ უნდა აღვნიშნოთ, რომ როგორც აქ სოხუმში, ისე მთელ შავი—ზღვის პირათ ვაჭრობა თითქმის მეგრელების ხელშია. სოხუმთან ვინახულეთ ბაგრატის ციხის ნანგრევები, რომაული აბანოები, ვენეციური ხიდი ბესლეტკაზე, სასახლე და მრავალი სიძველე. გადარეულ კოდორის მდინარეს, რომ გამოვცილდით საძაგელი გზები იყო. წინათ ეს გზა სამხედრო სოხუმის გზათ იწოდებოდა, მაგრამ დროთა ვითარების შემდეგ მივიწყებულია. დღე კი, მიუხედავათ ამ გზის გასაუმჯობესებლათ, საწყალი—მგზავრები ტლაპოში იხრჩობიან. მდინარეებზე პატარა ნავებით ძლიერ სჭირს მიმოსვლა. ხიდები კი წაღებულია და არავინ ფიქრობს მათ შეკეთებას.

ოჩემჩირეს რომ დავუახლოვდით, ჩვენი ყურადღება მიიპყრო აფხაზების ველურულმა ნამოქმედარმა: ოცამდე ყარაულს, სოხუმის ოლქის უფროსთან, მიჰყავდათ მოტაცებული ყბებ-დაკაწრული აფხაზის ქალი და დაჭირული მომტაცებელი აფხაზები. უკანასკნელებს ძალათ სურდათ წაეყვანათ ქალი, რისთვისაც მსხვერპლად შესწიროდა საბრალო ქალის მამა!

ოჩემჩირეს აქეთ ხუთი ვერსით დაშორებით თავდება აფხაზეთი და იწყება სამურზაყანოს რაიონი. პირველი სოფელია ილორი, სადაც არსებობს, ქართველთა პატივსაცემი, ბერძენთაგან დაარსებული ილორის წმ. გიორგის ეკლესია. აქ პატარა ხანს შევისვენეთ. მლოცველები, ბატკნებით, ბლომათ მოსულიყვნენ სამეგრელოდან და შიმშილობისგან ხსნას ავედრებდენ წმ. გიორგის. ეკლესიაში ვინახულეთ ოქროს თასი ბაგრატ მესამისა (X—XI, საუკ.) ადგილობრივმა მღვდელმა განგვიმარტა თუ როგორ განდევნილია ქართული ენა სამურზაყანოს სკოლებიდან. ილორიდან წამოსულებს გზაში გულმა აღარ მოგვითმინა უკანასკნელად დაგვეთვალიერებინა X საუკუნეში, საქართველოს მეფის—ბაგრატ მესამის აშენებული ძველი ბედიის ტაძარი. ტაძარს აქვს მრავალი ქართული წარწერა. მეორე ღამე სამურზაყანოს დაბა გალში გავატარეთ. მესამე დღეს ჩავიარეთ სიძველეებით ნაქები სოფ. ოცარცვე და მივადექით გიუმაჟ,—ერთი ვერსის სიფართოვეზე გაშლილს, ენგურის მდინარეს. დღესდღეობით ენგურზე მიმოსვლა ბორნებითა და ბოკირებით სწარმოებს; შემდეგისათვის კი გარდაუწყვეტილია ფართო სარკინისგზო ხიდის გაკეთება, რომელიც გზატკეცილისათვისაც უნდა გამოდგეს. შემოვდგით ფეხი თუ არა სამეგრელოში, თვალწინ წარმოგვიდგა, ენგურს ამაყურად გადმომყურალე, რუხის ციხე, რომლის ახლოსაც საქართველოს დამბუნების დროს სასტიკი ბრძოლა მოხდა კაცია დადიანს და იმერეთის მეფე სოლომონს შორის.

მოვაღწიეთ ზუგდიდში, მაგრამ დახეთ საშინელებას, მთელი ხალხი შიმშილობაზე ლაპარაკობდა:—„არ გაგვაჩნია საჭმელი, ვიხოცებით შიმშილით. წარმომადგენლები—საშუამდგომლოთ გაგზავნილი გვყავს და თუ საღამომდის არა გვეშველა შიმშილით ამოვწყდებითო“! ზუგდიდიდან მთელი ხალხი ქუჩებში იყო გაჩერებული და სასო მიხდილნი ზეციურ მანნასავით ელოდენ სურსათს ახალ-სენაკიდან. მართლაც, სანამ სენაკში ჩამოვის დოდით გზაში შეგვხვდენ ფქვილითა და სიმინდით დატვირთული ურმები, ზუგდიდისაკენ მიმავალნი.

საღამოს სენაკში ამოვყავით თავი. მცხოვრებლებს საზრდო მიეღოთ და დაწყნარებული იყვნენ სხვათა შორის, სენაკელები დიდი მოხარული არიან შავი ზღვის რკინის გზის ქვალონის მაგიერ სენაკში გაყვანისა. ყველანი აღტაცებით ელიან იმ დროს, როდესაც შავი ზღვის მდიდარი ადგილები სენაკზედ მსწრაფლ მიმოსვლით იქნება შეერთებული და ასეთ უბედურ წელიწადს არ განიცდიან სურსათ-სანოვაგის შემოსატანათ.

**თიოლ მაისურაძე.**

# დაბა-სოფლები.

— —

**დ. ლანჩხუთი.** საზოგადო ფურნემ, რომელსაც დიდიხანი არ არის რაც ჩაეყარა საძირკველი, ჯერ-ჯერობით დიდი ნაყოფი მოუტანა საზოგადოებას. თვეა რაც წარმოების გზას ადგია ფურნე და ამ ხნის განმავლობაში შეუწყვეტლივ აწვდიდა პურს საზოგადოებას სამი ხარისხისას, 3—4—5 კაპიკათ ხარისხის მიხედვით, რითაც ხალხი კმაყოფილი იყო დ, როგორც საოპერაციო საბუთებიდან ვიცით, მოსაგები % საკმაოთ რჩებოდა გამგეობას. დღემდი გამგეობაში შედიოდა საზ. არჩეული სამი პირი ბ. ძ. ნესტორ მხეიძე, ვ ებრალიძე, ას. ჯორბენაძე. მათ ერთი წუთიც არ უღალატნიათ თავის დიადი მოვალეობისათვის მხოლოდ დღეს საერთო საქმეზე გულის აცრუების სენმა ჩვენ პატივცემულ გამგეობაშიც იჩინა თავი და გამგეობის წევრების დაქსაქსვასთან ფურნის არსებული მდგომარეობაც შეირყა! პურის ფასს აუწიეს გირვანქას თითო კაპიკი ყველა ხარისხისას, რამაც წევრებში დიდი განხეთქილება გამოიწვია და აქაურ ჩარჩ მეფურნეების მსუნაგი გული კი გაამხიარულა... დღეს საზოგადოების მიერ არჩეულ ნამდვილ გამგეთ ითვლება ბ-ნი ნ. მხეიძე. **ერთ კაცს!** მართალია, წესდების მიხედვით აქვს უფლება იმოქმედოს ისე, როგორც ფურნის დღიური პრაქტიკის საკითხი მოითხოვს, მაგრამ, რომ ხალხში მეტათ და მეტათ განასკულიყო ერთობრივი ძაფი ნდობისა და ასეთ კულტურულ დაწესებულების არსებობის სიყვარულისა, სასურველი იყო ფასების ასეთ ნაირ ცვლილების შესახებ ბ-ნ გამგეს და გამგეობას საჭიროთ უნდა დაენახათ წევრთა საზოგადო კრების მოწვევა და მოლაპარაკება. იმედია მოიწვევს საგანგებო კრებას, რომელმაც უნდა აირჩიოს გამგეობა და აგრეთვე იმსჯელოს ფურნის მუშაობის შესახებ.

ლანჩხუთის საზოგადოება ამ ცოტა ხანში, მიიღებს „მაღაზიის ფულს". რომელიც უდრის 7603 მანეთს. იმედია, აქაური მოწინავე ინტელიგენცია ამ ფულის გაწესრიგება—განაწილებაში გამოიჩენს ობიექტიურ სისწორეს და არ განმეორდება ისეთი უსიამოვნო შემთხვევები, რომელსაც ადგილი ქონდა ამ ცოტა ხნის წინათ. ეს თანხა უნდა დაურიგდეს იმ ოჯახებს, რომელნიც მოკლებული არიან არსებობის სალსარს, და არა ისეთებს, რომლებსაც, შესაძლებელია, აკლდეს სიმინდი, მაგრამ სხვა სალსარი მოეპოებოდეს თავის შენახვისა. ამ შემთხვევაში დავიწყებული უნდა იყოს ნათესაურ—პირადული განწყობილება. ამასთანავე უნდა დავძინოთ, რომ „თანამედროვე აზრის" გაზეთის ცნობის მიმწოდებელი, ვითომ, „ლანჩხუთის საზ. ან არ არის დამშეული და ან ვერ შეუგნია თავისი მთელი ფულის მოთხოვნა, რომელიც 9000 მ. უდრის მაღაზიის ფული"-ო, შემცდარი აზრია!.. ლანჩხუთის საზ. საჭიროებს დახმარებას და ეს კარგათ უწყიან აქაურმა მოწინავე პირებმა. ლანჩხუთის საზ. დადგენილ განაჩენში ვკითხულობთ", გაეგზავნოს ბ. გუბერნატორს კომისია, სამი კაცისაგან შემდგარი, რომელიც თხოვნას წარუდგენს ჩვენს მაგივრათ, აღმოგვიჩინოს წყარო, რითაც შევძლებთ არსებულ სიმშილის თავიდან დაღწევას ამ კრიტიკულ მომენტშიო, ამასთან ეთხოვოს ის 9000 მან რომელიც ინახება საზ. ფული „მაღაზიის ფულის სახით"-ო: დიახ! რომ ეს წაეკითხვა „თ. აზ." კორესპონდენტს და ან ეყურებია მას ჩვენი კომისიის მოხსენებაზე, ასეთ ცილს არ დასწამებდა ლანჩხუთის საზოგადოებას.

**სკოკი.**

# თიატრი და ხელოვნება.

— —

**დ. ჭიათურა.** მართალია, ძნელია პროვინციებში მთლიანათ წარმოდგენის ან საღამოს გამართვა, მაგრამ რეკლამებით ხალხის მოტყუება და თვით ხელოვნების აბუჩად აგდება და შეურაცხყოფა, სადაც არ უნდა იყოს, არავის არ ეპატივება. სამწუხაროთ, პროვინციელები მთელი წლობით მოკლებულნი არიან წარმოდგენებს, საღამოებს და სხვ., მაგრამ თუ შემთხვევა მიეცათ დაესწრენ, მაშინაც სიამოვნების ნაცვლათ, გულ დაწყვეტილნი უნდა დაბრუნდნენ შინ, რადგან ვერ მიიღებენ მას, რასაც აფიშებით პირდებიან. ამის დამახასიათებელია, შაბათს, 13 ივნის, მსახ. ივ. აპტალიდის გამგეობით გამართული მუსიკალურ-ვოკალური სალიტერატურო კონცერტი, ადგილობრივ თიატრში, რომელსაც აუარებელი ხალხი დაესწრო. საღამო 3 გამყოფილებისაგან შედგებოდა. I და II გამყოფილებებში ბ. გ. იაშვილის ხელმძღვანელობით სიმებიანი ორკესტრი უკრავდა, რომელიც ექვსი კაცისაგან შესდგებოდა და ა. ქურციკიძის ლოტბარობით ხორო ასრულებდა სხვა და სხვა სიმღერას; თუ პირველზე ითქმის: „სადაც არ იყოს, ცოტა კმარიყოს", არ შეიძლება მეორე უყურადღებოთ დარჩეს. საკვირველია რას ფიქრობდა ეს ახალგაზრდა „ლოტბარი" როდესაც სცენაზე, ხალხის წინაშე გამოდიოდა თავის ხოროთი. თუ სურდა ს. კავსაძის ხოროს სიმღერების გამეორება სასურველი იქნებოდა, მაგრამ მისიც დამახინჯება მოუთმენელია. ლოტბარი მარტო ხელების ქნევით ვერაფერს შექმნის, აუცილებელია მისთვის, რომ სხვა და სხვა ხმა ერთი მეორეს შეუხმატკბილოს და მით სასიამოვნო გასაგონი სიმღერა შექმნას, ეს კი ქურციკიძემ ვერ შესძლო და მისი გამოსვლა სახალხოთ ჯერ სასურველი არ იყო. III გამყოფილებაში წაიკითხეს გარიმებში ჩვენი საყვარელი მგოსნის ი. ევდოშვილის „უკანასკნელი დღე სიკვდილით დასასჯელისა", მაგრამ გაცილებით უმჯობესი იქნებოდა ერთს რომელიმეს მთლიანათ წაეკითხა, რადგან გარიმებში წაკითხვით ამ საუკეთესო ნაწარმოებს თავი და ბოლო მოსწყვიტეს და არაფერი აღარ დარჩა. მათ უნდოდათ სურათი ეჩვენებიათ, მაგრამ ვერ გამოდგა კარგი. შეუფერებელი იყო აგრეთვე დაბოლოს კულისებში „წმიდაო ღმერთო, გალობა", არ ვიცით სად გაჰყავთ ხოლმე ტუსაღი სახრჩობელაზე ასეთი ხოროს გალობით.

აღსანიშნავია, რომ ამ კონცერტის მოწყობა-გამართვაში დიდი ღვაწლი და შრომა მიუძღვის ქ. მ. წ—ლის ასულს. აგრეთვე სასურველია თვით დრ. საზოგ. გამგეობა ფხიზლათ უდგეს თეატრულ საქმეებს სათავეში, და მეტადრე თეატრის დარბაზს არვის უთმობდეს, თორემ ეს წმინდათა წმიდა ხელოვნების ტაძარი ლამის სავაჭრო სახლათ გადაიქცეს.

**ვაჟიე ჭიათურელი.**

---

### ომში მოკლული, დაჭრილი და უკვალოდ დაკარგული ქართველი ჯარის კაცები.

(„ვედ. პეტროგრად. გრადონაჩ" №19).

### ქუთაისის გუბერნია

**მოჰკლეს:** თელია სერგო ანდრიას ძე, გოგოხია ვლად. ჩახუნის ძე, ბუკია გრიგ. თულევის ძე. ბიწაძე, მარკოზ ფლახ-ძე, შველიძე; ალექსანდრე ალ.-ძე, ლაკველიანი, ანტონ ექვთიმეს ძე.

**უკვალოდ დაიკარგნენ:** ბერაია აკაკი შევ—ძე, კაკაშიძე, ნესტორ ჰავჰანიძე, ალექსანდრე წიქარაშვილი, ირაკლი სიმონის ძე სარალიძე, ბარნაბა გიორგ—ძე გავაშელიშვილი, ბესარიონ ნაზაძე, ექვთიმე სოსიას ძე, ცერცვაძე, ვლად. ყარემ—ძე, კუტანაძე, ნესტორ, მატარაძე, ალექს. ნიკ., ესაკია, პლატონი წულუკიძე, დიმიტრი.

**დასჭრეს:** ნარსია, ვასილ. ანდ., დანელია, ეგნატე პავლ—ძე, ოდიშარია, ანდრია კლიმ—ძე, ჯომიდავა, ილარიონი ფარალუა, ერმალოზ მესხი, დიონისე კუპრავა ლეონტი, თოფურია რაჟდენ ანთია, ილარიონი ვაჩნაძე, დანიელ მაჭარაძე, ცეცივაძე, შალვა ყაფილიანი, (?) სერაფიონ კაპანაძე, გიორგი ნოზაძე, გედეონ კაპანაძე, მიხეილ ლევ—ძე, გოგოლიძე, იასონ ამირ—ძე, ხარაძე, პეტრე მიხ—ძე, კობერიძე, მეთოდე ნიკ—ძე, კობახიძე, დომენტი გრიგოლაშვილი, გალაქტიონ კონსტ—ძე, შუბითიძე, გრიგოლ ყარამ—ძე, ქველაძე ივანე ასლან—ძე; ცინცაძე, კირილე წვერავა, ნიკო ლუკას ძე, ჩიტალაძე, იროდიონი ნიკოლაიშვილი, ნიკოლ. მიხ—ძე, შენგელია, ნოე ქაშაძე, ბიქტორ დიმ—ძე, ჯორჯიკია, ალექსანდრე სპირიდ—ძე, აბულაძე, გიორგი ვლად—ძე, ბახშიშვილი, ილია შერაზადაშვილი, მალაქია ყურაშვილი, პორფილე ჯიქია, კონსტანტინე კაველიანი, ელიზბ. ვაწაძე, პლატონი ლაქვეხლიძე ანთიმოზ ჩესკია, სოფრომ ბესარ—ძე, კოჩნაძნე, სერგი რუსია, კალისტრატე ჩებუკიანი, მაქსიმე შოველი, ევგენი ოჩიგავა, დავითი.

---

## წერილი რედაქციის მიმართ.

**ბ-ნო რედაქტორო!**

უმორჩილესად გთხოვთ თქვენი პატივცემულის გაზეთის საშუალებით უღრმესი მადლობა გამოუცხადოთ ქვემო აღნიშნულ პირთ, რომლებმაც კეთილ ინებეს და შემოსწირეს ბალახვანის „შოთა რუსთაველი"-ს უფასო წიგნსაცავ-სამკითხველოს ფული, წიგნები და სურათები.

შემოწირულებანი მიღებულ იქნა ხსენებულ წიგნ-საცავ-სამკითხველოს მზრუნველი კომიტეტის მიერ შემდეგ შემომწირველ პირებისაგან: ბატონ იოსებ ჭილაძისაგან 3 მან., ოლინკა წულუკიძისაგან—1 მან. და ელენე მეფისოფისაგან—3 აბ. ბ-ნ ისაკ ნიკ. მიხაილიდის მიერ შემოწირული—აკაკის და ილიას ორი სურათი, ღირებული 6 მან. და ოთხი წიგნი ღირებული 4 მან; იასონ გიორგისძის წერეთლის მიერ შემოწირული—10 წიგ. —8 მან.; ანნა კორნეევის ასული სულაძისაგან—1 წიგ., ღირებული 1 მან. 50 კ., ნინა ტაბატაძისაგან—1 წიგ.—1 მან.; მიშა ჯუღელისაგან—7 წიგ.—3 მან.; ბარონი სლავა დოლინსკაიასაგან—15 წიგ.—3 მან., მარიამ გოგიშვილისაგან—5 წიგ.—1 მან. 50 კ, დათიკო დოდობერიძისაგან—12 წ —1 მან. და გიორგი ბუაჩასაგან—13 წიგ. —1მან. 50 კ.

აგრეთვე უღრმესს მადლობას ვუცხადებთ ჟურნალ „განთიადის" რედაქციას თავისი პერიოდულ გამოცემის, ჟურნალ „განთიადის" უფასოთ დათმობისათვის

ბალახვანის „შოთა-რუსთაველის" უფასო წიგნთ საცავ-სამკითხველოის მზრუნველი კომიტეტის მონდობილობით წევრი ამავე კომიტეტისა **სილოვან გ. ლაჭყებიანი.**

---

რედ.-გამომც. **ი. თ. ცინცაძე.**

მმათა **ქორქოლაძეების** მაღაზიაში
(ქუთაისი, მიხეილის ქუჩა, საკუთარი სახლი)
**მიღებულია დიდძალი**
**საპნის გასაკეთებელი „სოდა"**
აქვე იყიდება ყოველგვარი ბაკალიური საქონელი. ფასები ყველაზედ ზომიერია როგორც წვრილათ, აგრეთვე ნარდათ.

**მოიკითხეთ ყველგან**
**ახალი ქართლი**
**გამოდის ქ. გორში, კვირაში ორჯერ**
**ხუთშაბათობით და კვირაობით**
**ცალკე ნუმერი ერთი შაური**

| | 1 წლით | 6 თვით | 3 თვით | 1 თვით |
|---|---|---|---|---|
| **დაკვეთის ფასი:** | 5 მან. | 3 მან. | 1 მ. 50 კ. | 50 კ. |

ხელის მოწერა მიიღება: „ახალი ქართლი"-ს კანტორაში, სამეფო ქუჩა № 15. თფილისში, ივ. ავალიშვილთან, წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების მაღაზიაში და გაზეთის თფილისელ აგენტთან, ვიქტორ მექანარიშვილთან, დუშეთის ქ. № 21.

**მიიღება ხელის მოწერა 1915 წ. ყოველკვირეულ სალიტერატურო, სახელოვნო და საზოგადოებრივ ჟურნალ**
**„თეატრი და ცხოვრება"-ზე.**
ჩვეულებრივის პროგრამით ივ. გომართლისა და იოს. იმედაშვილის რედაქციით.
**ფასი:** წლით 5 მან., ნახევარი წლით 3 მან., თითო ნომერი 10 კაპ. ფულის შემოტანა ნაწილნაწილადაც შეიძლება: ხელის მოწერის დროს 2 მ., არტისგასვლამდე 2 მ., დანარჩენი 1 მ. ენკენისთვის 1.
ხელისმოწერა მიიღება: რედაქციაში („სორაპანი"-ს სტამბაში) დილით 9—2 ს., საღამოთი 5—7 ს., ჟურნალ-გაზეთების კანტორა „განთიად"-ში, „ცოდნას" წიგნთსავაჭროში, რკინის გზის სახელოსნოში—ალ. ძაძამიასთან.
მიიღება განცხადებანი ჟურნალში დასაბეჭდათ ფული და ყოველგვარი მასალა უნდა გამოიგზავნოს იოს. იმედაშვილის სახელზე. ფოსტის მისამართი: Тифлисъ, Ред. „Театри да цховреба" Іосифу Имедашвили
რედაქტორ-გამომცემელი **ანნა იმედაშვილისა**

24 მაისიდან თფილისში გამოდის ნაცვლად ჟურნალ „კლდისა" ყოველ-დღიური გაზეთი
**„საქართველო"**
ფასი წლის დამლევამდე 5 მან. პირველ ოქტომბრამდე 3 მან. „კლდის" ხელის მომწერთ, რომელთაც მთელი წლის ფული აქვთ გადახდილი, გაზეთი გაეგზავნებათ 1 მკათათვემდე.
— ადრესი: Тифлисъ, Московская ул. № 4. —
რედაქტორ-გამომცემელი **სანდრო შანშიაშვილი.**

მიიღება 1915 წ. პირველ იანვრიდან ხელის მოწერა სამეცნიერო, სალიტერატურო და საპოლიტიკო ჟურნალ
**„განთიადი"-ზე**
რომელიც გამოვა ორკვირაში ერთხელ ხომლელის ხელმძღვანელობით.
წლიურათ ჟურნალი ღირება 4 მ. 60 კ., ნახევარი წლით 2 მ. 30 კ. სამი თვით 1 მ. 15 კ., თვიურათ 50 კ., თითო ნუმერი აბაზათ.
წლიურ ხელის მომწერლებს ფულის გადახდა ნაწილ-ნაწილადაც შეუძლიათ: ხელის მოწერის დროს—2 მან. 60 კ., პირველ აპრილს—1 მან. და პირველ ივნისს—1 მან.
ქუთაისში ხელის მოწერა მიიღება: ისიდორე კვიცარიძესთან, თომა მთავრიშვილთან და ძმ. ოცხელების წიგნის მაღაზიაში, თფილისში: წ. კ. გ. საზ. მდივანთან, ბაქოში: ქართული სკოლის გამგე მეთოდე კაკაბაძესთან, ფოთში: კოწია გამყრელიძესთან, ბათომში: ხოსიკო მდივანთან, სოხუმში: ანთიმოზ ჯუღელთან და კავკავში: თ. ის. მერაბ. დორქიფანიძესთან.
ფული უნდა გამოიგზავნოს ამ მისამართით: Кутаисъ. РомануСпирид. Панцхава

დაიბეჭდა და იყიდება **კ. ოცხელის წიგნის მაღაზიაში** (ქუთაისში)
**„НОВОЕ СЛОВО"**
ახალი პირველდაწყებითი სახელმძღვანელო რუსული ენისა, მრავლად დასურათებული, ლექსიური განყოფილებით, რუსული ანბანით, კითხვისა და წერის სავარჯიშო მასალით, შედგენილი ს. ოცხელის მიერ.
თვ. **ფასი ყდით 2 აბაზი.**

**თ. მთავრიშვილის და ამხ.**
**წიგნისა და საკანცელარიო მაღაზიამ დაბეჭდა და გასაყიდათ გამოვიდა**
**„Цѣлебные минеральные источники въ Кутаисской губер."** ц. 20 к. კ. მაჭავარიანისა.
იბეჭდება და მალე გამოვა ქართული ენის სახელმძღვანელო **„გაზმულ სიტყვიერებითი ქრისტომატია: ჩვენი ძველი მწერლობა და ხალხური პოეზია"**, შედგენილი ს. რ. გორგაძის მიერ. იქვე იყიდება ყოველნაირი ქართული და რუსული ენის სახელმძღვანელონი, საყმაწვილო წიგნები, ახალი რუსული და ქართული ლიტერატურული ნაწარმოები, გეოგრაფიული ატლასები, კარტები და ყოველნაირი საკანცელარიო ნივთები. თ. მ.

**უდიდესი სპეციალური წიგნის მაღაზია**
**კ. ი. ოცხელის და ამხ. ქუთაისში**
**ალექსანდრეს ქუჩა, თფილ. კომერც. ბანკის ქვეშ.**
**კ. ი. ოცხელისა და ამხ. წიგნის მაღაზიაში** მოიპოვება ყოველ გვარი **სახელმძღვანელო** და საკითხავი წიგნი: ბელეტრისტული, პედაგოგიური, იურიდიული, საბავშო და მრავალი სხვა. აგრეთვე გვერდით გამართულია **ცნობილი საკანცელარიო მაღაზია დ. ი. ოცხელისა**, სადაც მოიპოვება ყველანაირი სამოსწავლო საკანცელარიო ნივთები.
**— კატალოგები უფასოთ —** თ.

**ნუნისის სამკურნალო ბუნებით თბილი**
**აბანო.** აბანო ნუნისი, ანუ მუნისი, რომელიც შეუმჩნევია ხალხს, უხსოვარი დროიდან, როგორც მუნისაგან განმკურნავი უებრაი საშუალება, ჰკურნავს გასაკვირველად ყოველნაირ კანის ავადმყოფობას და მასთან დიდ საშუალებას აძლევს ავადმყოფს სხვადასხვა სენის წინააღმდეგ. მდებარეობს შორაპნის მაზრაში, მოლითის სადგურიდან 6 ვერსის მანძილზე, მაღლობ ნამენარში. სეზონი იწყება 15 მაისიდან და გრძელდება 1-ს ოქტომბრამდე.
თ. 215